2-8947/22
20-06-2022

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს,
ბატონ ირაკლი ბერაიას

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის
დასკვნა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში (N1-4764/22; 15.04.2022)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2022 წლის 17 ივნისის სხდომაზე განიხილა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში (N1-4764/22; 15.04.2022).

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა მიმართული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებისკენ, როგორებიც არის: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა, კიბერუსაფრთხოება, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, სპეციალური ოპერაციების ძალების მზადყოფნა, სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ზედამხედველობა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია, სამსახურის მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის
მიმოხილვა და კომიტეტის შეფასება

I. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები

ანგარიშის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფოსთვის მთავარი საფრთხე და გამოწვევა კვლავ რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციაა. რუსეთის ფედერაცია განაგრძობს ფაქტობრივი ანექსიის პოლიტიკას; კერძოდ, 2021 წელს:

- ინტენსიურად მიმდინარეობდა საოკუპაციო ძალების სამხედრო წვრთნები.
- საოკუპაციო რეჟიმმა რუსეთთან „თავდაცვისა და უსაფრთხოების და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი სივრცის“ შექმნისა და ამ მიმართულებით „ინტეგრაციის“ მხარდამჭერი რამდენიმე განცხადება გააჟღერა. აქტიურად განიხილებოდა „ფსოუს გამშვებ პუნქტზე“ მოძრაობის ე. წ. რეგულაციების გამარტივების საკითხი,

ოკუპირებულ რეგიონში უძრავი ქონების შეძენის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის „ლეგალიზების“ საკითხი, სხვა საკითხები. აფხაზეთის ე. წ. პრეზიდენტმა ამ საკითხებს რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ „სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის“ დათმობა უწოდა.

- რუსეთის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა აფხაზეთის ენერგეტიკაში თავისი გავლენის გაზრდას.
- მათ მიერ არაერთხელ წამოიჭრა ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური რუსების „პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის საჭიროების“ საკითხი, მათ შორის, „რუს თანამემამულეთა ორგანიზაციების“ კონსოლიდაციის მეშვეობით.
- გამოიკვეთა სახიფათო ტენდენცია, რომლის ფარგლებშიც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ცალკეულმა წარმომადგენლებმა ოკუპირებულ რეგიონში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის მომეტებული შეზღუდვა განიზრახეს.
- გრძელდებოდა ოკუპირებული გაგრის რაიონის სოფელ აიბღას „რუსეთისთვის მიკუთვნების“ საკითხის განხილვა.
- მნიშვნელოვან საფრთხედ რჩებოდა ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის ანექსიის საკითხი, ვინაიდან ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო რეჟიმი კვლავ ღიად უჭერდა მხარს ამ რეგიონის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას.
- რუსეთის პრეზიდენტმა ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონთან „ორმაგი მოქალაქეობის შესახებ“ ე. წ. შეთანხმების პროექტი დაამტკიცა.
- არსებული მონაცემებით, ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. ბიუჯეტის დაახლოებით 50%-ს (69 472 492 აშშ დოლარის ეკვივალენტს), ხოლო ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის ე. წ. ბიუჯეტის დაახლოებით 83%-ს (84 898 637 აშშ დოლარის ეკვივალენტს) რუსეთის ფედერაცია აფინანსებს.
- ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე ე. წ. შიდაპოლიტიკური პროცესები რუსეთის ხელისუფლების ჩარევით ვითარდებოდა. ამ რეგიონებში მოქმედი ე. წ. პოლიტიკური პარტიები თუ გაერთიანებები მკვეთრად პრორუსულ განწყობას ინარჩუნებდნენ. ამასთანავე, რუსეთი სრულად აკონტროლებდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ე. წ. საკვანძო/სტრატეგიულ უწყებებსა და სფეროებს.
- აქტიურად მიმდინარეობდა ადამიანთა უკანონო დაკავება, უკანონო ე. წ. ბორდერიზაციის პროცესი, დეზინფორმაციული კამპანიები და უსაფრთხოების გარემოს დამაზიანებელი სხვა აქტივობები. 2021 წელს საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მიერ ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით – 11, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით 70 უკანონო დაკავების ფაქტი დააფიქსირა. ე. წ. საპატიმრო დაწესებულებაში ერთწლიანი ყოფნის შემდეგ, 2021 წლის 14 ივლისს, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და საერთაშორისო პარტნიორების ძალისხმევით უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდა ზაზა გახელაძე. 2021 წლის ბოლოს უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა საქართველოს 7 მოქალაქე, მათ შორის, ირაკლი ბებუა, ხოლო საოკუპაციო რეჟიმების უკანონო პატიმრობაში დაღუპული ირაკლი კვარაცხელიას და დავით ბაშარულის, აგრეთვე საოკუპაციო ძალების მიერ მოკლული არჩილ ტატუნაშვილისა და გიგა ოთხოზორიას საქმეებთან დაკავშირებით სამართალი

კვლავ არ აღსრულებულა, რაც ოკუპირებულ რეგიონებში დაუსჯელობის სინდრომს უწყობს ხელს და დანაშაულებრივ ქმედებებს ახალისებს.

- ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით უკანონო ე. წ. ბორდერიზაციის – 9, ხოლო ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის მიმართულებით 130 შემთხვევა დაფიქსირდა. უკანონო აქტივობები გამოიხატა, როგორც ახალი მავთულხლართების გავლებაში, ისე ძველი მავთულხლართებისა და ღობეების განახლებაში, ე. წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულებისა და თხრილების მოწყობაში, ე. წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერებისა და საგუშაგოების უკანონო აღმართვაში.
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ ფიქსირდებოდა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიზანმიმართული დისკრიმინაცია, მათ შორის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა, რეგიონების რუსიფიკაციისკენ, მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შეცვლისა და მათი ასიმილაციისკენ მიმართული პოლიტიკა.
- გრძელდებოდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ქონებრივი უფლებების შეზღუდვა და თავიანთ სახლებში დაბრუნების გამორიცხვის მიზნით მათი სახლების განადგურება.

ოკუპაციასთან დაკავშირებული საფრთხეები და გამოწვევები 2021 წლის განმავლობაში მწვავედ განიხილებოდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების (GID), ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში გამართული შეხვედრებისას. ცხინვალის ოკუპირებული რეგიონთან დაკავშირებით გაიმართა IPRM-ის 6 და მის ფარგლებში დაგეგმილი 2 ტექნიკური შეხვედრა, სადაც კატეგორიულად იქნა მოთხოვნილი რუსეთის საოკუპაციო ძალის მიერ უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების დაუყოვნებლივ, უპირობოდ გათავისუფლება.

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) უშუალო მონაწილეობით მოქმედი „ცხელი ხაზი“, როგორც ინციდენტების განმუხტვისა და საფრთხეების თავიდან აცილების ინსტრუმენტი, აქტიურად გამოიყენებოდა. „ცხელი ხაზი“ 2197-ჯერ (1747-ჯერ ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის, ხოლო 450-ჯერ ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით) გააქტიურდა.

2021 წელს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების ოთხი რაუნდი (52-ე, 53-ე, 54-ე და 55-ე რაუნდები) გაიმართა, სადაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა დაწვრილებით ისაუბრა საქართველოს რეგიონების ოკუპაციის შედეგად არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებსა და საფრთხეებზე, ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ადამიანთა უკანონო დაკავებასა და ე. წ. ბორდერიზაციის პროცესზე.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMM) ეფექტიან და ნაყოფიერ თანამშრომლობას, თანამშრომლობა აქტიურად მიმდინარეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN),

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა (OSCE) და ევროპის საბჭოს (CoE) წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია ასევე წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) ჰუმანიტარულ საკითხებში თანამშრომლობა.

II. სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2021 წელი სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართული კომპლექსური პროცესებითა და მკვეთრად გაზრდილი საფრთხეებით იყო დატვირთული; კერძოდ:

- რუსეთის ფედერაციამ მნიშვნელოვნად გააქტიურა ძალისხმევა მეზობელი ქვეყნების მიმართ თავისი ექსპანსიური პოლიტიკის გასატარებლად.
- უკრაინასთან დაკავშირებით შექმნილმა ვითარებამ არსებითად დააზიანა რეგიონის უსაფრთხოების გარემო.
- საქართველოსა და რეგიონის უსაფრთხოების გარემოსთვის გამოწვევად რჩებოდა საქართველოს ორ მეზობელ ქვეყანას, სომხეთსა და აზერბაიჯანს, შორის მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირებები.

მომეტებული საფრთხეების გათვალისწინებით, 2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საქართველოს ტერიტორიაზე ოპერატიულ ვითარებას უწყვეტ რეჟიმში აკონტროლებდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოავლინა საზღვარგარეთის ქვეყნების სპეციალური სამსახურების დაინტერესების სფეროები და მისწრაფებები. საქართველოში დიპლომატიური საფარით მოქმედმა და მათთან კავშირზე მყოფმა პირებმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეფექტიანი საქმიანობის შედეგად დატოვეს ქვეყანა, ხოლო მათი გარკვეული ნაწილის მიმართ, საქართველოში შემოსვლის შეზღუდვის მიზნით, გამოყენებულ იქნა სასაზღვრო კონტროლის მექანიზმები.

საზღვარგარეთის ქვეყნების სპეციალური სამსახურების სადაზვერვო საქმიანობის განსაკუთრებული ინტერესი 2021 წელს იყო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თითქმის ყველა ასპექტი, მათ შორის, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის დეტალები, სამხედრო საკითხები, პოლიტიკური ძალებისა და მათი ლიდერების საქმიანობა, ეკონომიკური პროექტები, საკანონმდებლო რეფორმები, საზოგადოებისა და საექსპერტო წრეების განწყობები, მიგრაციული პროცესები და სოციალური თემები. საზღვარგარეთის ქვეყნების სპეციალური სამსახურები აქტიურ ინტერესს იჩენდნენ თავდაცვის სფეროში მიმდინარე ღონისძიებების, არსებული ვითარებისა და სამომავლო გეგმების მიმართ. აღნიშნული ინტერესი დაკავშირებული იყო, მათ შორის, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და თავდაცვის სისტემების ნატოს სტანდარტებთან დაახლოების პროცესთან. საზღვარგარეთის ქვეყნების სპეციალური სამსახურების დესტრუქციული ქმედებები მიმართული იყო ასევე ეკონომიკურ პროცესებში ჩარევისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების შეფერხებისკენ.

2021 წელს გამოიკვეთა დესტრუქციულ გარე აქტორებთან შესაძლო კავშირის მქონე პოლიტიკური ძალების სხვადასხვა ფორმით გააქტიურების ტენდენცია. ამ სუბიექტების მხრიდან, სხვადასხვა პლატფორმის (მათ შორის, სოციალური ქსელების, ვებგვერდების, ტელემაუწყებლობის) გამოყენებით, აქტიურად მიმდინარეობდა პროდასავლური კურსის საწინააღმდეგო პროპაგანდა.

2021 წელს სამსახურმა სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების ფაქტზე სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო. გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების თანახმად, გამოიკვეთა, რომ ხელისუფლების არაკონსტიტუციური და ძალადობრივი გზით დამხობის მიზნით იგეგმებოდა დესტრუქციული ძალების მობილიზება, საავტომობილო გზების სხვადასხვა საშუალებით გადაკეტვა, სახელმწიფო უწყებების ბლოკირება და შტურმი. აქტიურად განიხილებოდა ძალოვანი უწყებების ყოფილი თანამშრომლების აღნიშნულ პროცესებში ჩართვა.

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ცალკეული ქვეყნებისა და მათი სპეციალური სამსახურების მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული „ჰიბრიდული საფრთხეები". ეს აქტორები თავიანთი გეოპოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნების მისაღწევად განაგრძობდნენ ე. წ. რბილი ძალის, ფარული ოპერაციებისა და ე. წ. საინფორმაციო ომის ინსტრუმენტების კოორდინირებულ და, ხშირ შემთხვევაში, ერთობლივ გამოყენებას.

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა ე. წ. საინფორმაციო ომის ფარგლებში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს, ამ კამპანიებში მონაწილე პირებისა და ორგანიზაციების, მათი დაფინანსების წყაროების გამოვლენას, სხვადასხვა აქტორებს შორის ურთიერთკავშირისა და გამოყენებული მეთოდების დადგენას, მოსალოდნელი რისკების შეფასებასა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარებას.

2021 წელს საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე არსებითად უარყოფით გავლენას ახდენდა ცალკეული ქვეყნების ე. წ. რბილი ძალის პოლიტიკა და მისი რეალიზების მცდელობები. საზღვარგარეთის ქვეყნების სპეციალური სამსახურები სხვადასხვა სახის სადაზვერვო ღონისძიების განსახორციელებლად ცდილობდნენ აქტიურად გამოეყენებინათ თავიანთ ქვეყნებში მოქმედი პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ფონდების შესაძლებლობები. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მონაწილეობით აღკვეთილ იქნა ცალკეულ აქტორთა მიერ წამოწყებული „ჰუმანიტარული" პროექტები. გამოიკვეთა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნის სპეციალური სამსახურები ამ პროექტების მეშვეობით ცდილობდნენ თავიანთი ხელისუფლების პოლიტიკური კურსის პროპაგანდას, საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის შეგროვებას და პროცესებზე გავლენის მოსახდენად შესაბამისი რესურსის გაზრდას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში 2021 წელს გამოავლინა საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეებით დაკომპლექტებული არაერთი ჯგუფი. გამოიკვეთა ამ ჯგუფების წევრთა დესტრუქციული მიზნები და ინტერესები. მათი საქმიანობის შეზღუდვის მიზნით, კანონმდებლობის შესაბამისად გატარდა კომპლექსური ღონისძიებები.

კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ბაზაზე 2021 წელს შეიქმნა „სახელმწიფო ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების ცენტრი". ეს ცენტრი უზრუნველყოფს კიბერინციდენტების მონიტორინგის ერთიანი ქსელური სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებას. აღნიშნული ცენტრი განახორციელებს გამოვლენილ კიბერინციდენტებზე რეაგირებასა და შესაბამისი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების დახმარებას, კიბერშეტევების მოგერიებასა და მავნე შედეგების მინიმუმამდე შესამცირებლად აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

III. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

გლობალური უსაფრთხოების გარემოსთვის საფრთხეები 2021 წელს მომდინარეობდა ტერორისტული ორგანიზაციებისგან „დაეში", „თალიბანი" და „ალ-ქაიდა". ანგარიშში აღნიშნულია, რომ ისინი ძირითადად ავღანეთის, ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე მოქმედებენ, ხოლო საქართველოს წინაშე არსებული, მათ მხრიდან მომდინარე შესაძლო საფრთხეები და გამოწვევები შემდეგია:

- საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერთა მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლო თავდასხმის განხორციელების მცდელობა;
- სირია-ერაყის ტერიტორიაზე მყოფი, „დაეშის" და „ალ-ქაიდას" რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების საქართველოში შესაძლო შემოსვლა;
- უცხოელი ტერორისტი მებრძოლებისა და ტერორიზმთან დაკავშირებული პირების მიერ საქართველოში შესაძლო შემოსვლის, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენების, მცდელობა;
- ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის შესაძლო დაფინანსება ან მათთვის სხვაგვარი დახმარების გაწევა;
- ტერორისტული ორგანიზაციებისა და მათთან დაკავშირებული პირების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი მოქალაქეების ტერორიზმის მიმართულებით შესაძლო გადაბირება.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 2021 წელს აქტიურად განაგრძობდა კონტრტერორისტულ საქმიანობას, რაც დადებითად შეფასდა ტერორიზმის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში. ამ ანგარიშში მითითებულია, რომ 2021 წელს საქართველოში ტერორისტული

ინციდენტები არ მომხდარა და საქართველოს ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი ინსტრუმენტები აქვს.

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ტერორიზმის თავით გათვალისწინებულ 4 დანაშაულზე. ამასთანავე, გრძელდებოდა საგამოძიებო მოქმედებები წინა წლებში გამოვლენილ დანაშაულებთან დაკავშირებით.

2021 წელს შემუშავდა 2022-2026 წლების საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა, რომელიც 7 ძირითად მიმართულებას ეფუძნება: ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, პრევენცია, დაცვა, მზადყოფნა, დევნა, სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოს განვითარება, საერთაშორისო თანამშრომლობა.

IV. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2021 წელს ანტიკორუფციულმა სააგენტომ დიდი ოდენობით ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, თაღლითობისა და სხვა ფაქტებზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 53 საქმეზე, ხოლო ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 162 პირი.

საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის და კორუფციის პრევენციის მიმართულებით განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კორუფციული ფაქტების გამოვლენის საკითხებში მოქალაქეთა მონაწილეობა.

2021 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისკენ, ხოლო ანტიკორუფციული სააგენტოს, როგორც ოპერატიული, ისე საგამოძიებო და ანალიტიკური მიმართულების ქვედანაყოფებმა მონაწილეობა მიიღეს ათეულობით შეხვედრასა და ღონისძიებაში, მათ შორის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიმართულებით.

V. სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოამზადა და გამოსცა 180-მდე ახალი სამართლებრივი აქტი; მათ შორის, დადგინდა დამატებითი მოთხოვნები სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით, გამკაცრდა შიდა კონტროლის მექანიზმები სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებთან მიმართებით, უკეთ მოწესრიგდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში მხილების საკითხების ძირითადი პრინციპები,

სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები და მექანიზმები. ამასთანავე, განისაზღვრა მამხილებელთა დაცვის ძირითადი საფუძვლები.

2021 წელს მნიშვნელოვან სიახლეს განეკუთვნებოდა „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები. ამ ცვლილებათა თანახმად განხორციელდა კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტების კატეგორიზაცია და გაუმჯობესდა მათი დაცვის სტანდარტები და საშუალებები. ამასთანავე, აღნიშნული კანონის საფუძველზე გამოიცა სამსახურის უფროსის ბრძანება „ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ან/და ინფორმაციულ სისტემაში შეღწევადობის (პენეტრაციის) ტესტის ჩატარებისთვის ავტორიზაციის მსურველი ორგანიზაციის ან/და შესაბამისი თანამშრომლის უსაფრთხოებაზე შემოწმების წესის დადგენის შესახებ“.

აღსანიშნავია 2021 წელს სამსახურის საქმიანობა საქართველოს საერთო სასამართლოებთან ურთიერთობის მიმართულებით. მათ შეუფერხებლად მიეწოდა საქმეების განხილვისთვის საჭირო საიდუმლო და არასაიდუმლო ინფორმაცია/მტკიცებულებები (ჯამში 1075 ინფორმაცია/მტკიცებულება). იმავდროულად, 2021 წელს დამუშავდა სასამართლოებისგან მიღებული 500-ზე მეტი დოკუმენტი. 2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს წარმოებაში ჰქონდა 30-ზე მეტი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლო დავის საქმე; 7 მათგანი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში დასრულდა. სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პოზიცია ყველა შემთხვევაში დასაბუთებულად მიიჩნია, რაც სათანადო გადაწყვეტილებებში აისახა.

VI. პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ზედამხედველობა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2021 წელს უფლებამოსილება საგამოძიებო ორგანოებმა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს წარუდგინეს მოსამართლის 2082 განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესახებ და პროკურორის 190 მოტივირებული დადგენილება ფარული საგამოძიებო მოქმედების გადაუდებელი წესით განხორციელების თაობაზე.

2021 წელს აქტიურად გამოიყენებოდა საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები. საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფმა სააგენტოში ორი ვიზიტი განახორციელა. ნდობის ჯგუფმა 8 შემთხვევაში წერილობით გამოითხოვა ინფორმაცია სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობისა და ცალკეული აქტივობების შესახებ. ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფს, საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარუდგინა სააგენტოს საქმიანობის სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიში.

მნიშვნელოვანია ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ზედამხედველობის მიმართულებით; კერძოდ 2021 წელს:

- ნდობის ჯგუფთან 7 შეხვედრა გაიმართა, სადაც სამსახურის ხელმძღვანელობამ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარადგინა ინფორმაცია (მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებული ინფორმაცია) სამსახურის უფლებამოსილებებში შემავალ სხვადასხვა საკითხზე. 2021 წელს სამსახურმა სათანადო რეაგირება განახორციელა 32 სადეპუტატო შეკითხვაზე (9 მათგანზე რეაგირება განხორციელდა ნდობის ჯგუფის ფარგლებში).
- სამსახური აქტიურად განაგრძობდა სახალხო დამცველთან თანამშრომლობას და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით მოთხოვნილი (მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი) ინფორმაციის მისთვის შეუფერხებლად მიწოდებას. 2021 წელს სათანადო რეაგირება განხორციელდა სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილ 22 კორესპონდენციაზე. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელებული ვიზიტის შედეგად ადამიანის უფლებებთან მიმართებით შენიშვნები და რეკომენდაციები არ გაცემულა.
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეებს შიდა სამსახურებრივი შემოწმებებისა და დასკვნების საფუძველზე სხვადასხვა დისციპლინური გადაცდომისთვის 15 დისციპლინური სახდელი დაეკისრათ; კერძოდ, სამსახურიდან დათხოვნილ იქნა 1 მოსამსახურე, სასტიკი საყვედური გამოეცხადა 1 თანამშრომელს, საყვედური გამოეცხადა 7 თანამშრომელს და შენიშვნა მიეცა 6 თანამშრომელს. ამასთანავე, სარეკომენდაციო ხასიათის მითითებები მიეცა 8 მოსამსახურეს.
- სამსახურის გენერალურმა ინსპექციამ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 6 საქმეზე.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მხრივ დადებითად ფასდება სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობა და მისი ეფექტიანობის გაზრდა; კერძოდ:

- სამსახურის ოფიციალური ვებგვერდისა (https://ssg.gov.ge) და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით საზოგადოებას მუდმივად მიეწოდებოდა ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების, განხორციელებული ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ.
- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე სამსახურმა მიიღო 72 განცხადება (მათ შორის, ფიზიკური პირებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან), რომელთაგან დაკმაყოფილდა 60 განცხადება, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 3 განცხადება, შემდგომი რეაგირებისთვის სხვა საჯარო უწყებას გადაეგზავნა 1 განცხადება, 8 განცხადება კი არ დაკმაყოფილდა.
- ინფორმაციის მიწოდების ან გამოთხოვის მიზნით მოქალაქეები აქტიურად იყენებდნენ სამსახურში მოქმედ „ცხელ ხაზს“ (სამსახურს წარედგინა 1000-ზე მეტი განაცხადი), რაზედაც სამსახურმა სათანადო რეაგირება განახორციელა.

VII. საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათშორისი კოორდინაცია

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საქართველოში აკრედიტებულ სხვადასხვა ქვეყნის ატაშეებსა და დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლებთან

წარმატებულ თანამშრომლობას განაგრძობდა. სამსახურის ხელმძღვანელი პირები პარტნიორებს სტრატეგიულ მოკავშირეებთან თანამშრომლობის ფარგლებში სისტემატურად უცვლიდნენ უსაფრთხოების გარემოს შესახებ ინფორმაციას. სამსახური ერთობლივი ძალისხმევის ფარგლებში აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ტერორიზმსა და მასობრივი განადგურების იარაღის საფრთხეებთან ბრძოლის, სასაზღვრო უსაფრთხოების, კიბეროპერაციებსა და სხვა საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების მიმართულებით. მნიშვნელოვანი იყო ამ სფეროებში სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ამერიკელი პარტნიორების მხარდაჭერა, როგორც პროფესიული განვითარების, ისე ცალკეული დანაყოფების ტექნიკური აღჭურვილობის მიმართულებით. 2021 წელს სამსახურის 100-ზე მეტმა წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო აშშ-ის მხარდაჭერით განხორციელებულ ათეულობით სხვადასხვა სასწავლო კურსში, გადამზადების პროგრამაში, საველე და სამეთაურო-საშტაბო სწავლებაში.

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად განაგრძობდა ნატოსთან თანამშრომლობას. სამსახური მონაწილეობდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდასაჭერად ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტით გათვალისწინებულ არაერთ ღონისძიებაში, აქტიურად მონაწილეობდა ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს ერთობლივ პროექტებში.

უწყებათაშორისი კოორდინაციის მიმართულებით ანგარიშში აღნიშნულია, რომ:

- კიდევ უფრო გაძლიერდა ეროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა მიმართულებით კოორდინაცია შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის.
- სამსახური მუდმივად ახორციელებდა ღია და ფარული წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის ოპერატიულ და ანალიტიკურ დამუშავებას, ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების სათანადოდ ინფორმირებას მოსალოდნელი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების შესახებ, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა უწყებათაშორისი კომისიისა და საბჭოს მუშაობაში, წარმოდგენილია ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელ მუდმივმოქმედ უწყებათაშორის კომისიაში და აქტიურად მონაწილეობს ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.
- სამსახურისთვის მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორის, სამეცნიერო/აკადემიური და საექსპერტო წრეებთან ერთად სხვადასხვა ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა.

VIII. სამსახურის მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პრიორიტეტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ადამიანური რესურსის მიზიდვას, განვითარებასა და შენარჩუნებას. სამსახურისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

სათანადო ინტელექტუალური რესურსის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა.

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა მოქმედ მოსამსახურეთა და სამსახურში დასაქმების კანდიდატთა თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფას. თანამშრომლები სარგებლობდნენ მაღალი სტანდარტის სამუშაო პირობებით და სათანადო სოციალური პაკეტით. 2021 წელს სამსახურმა სხვადასხვა ფორმით წაახალისა 570-ზე მეტი მოსამსახურე.

2021 წელს რამდენიმე ასეულმა თანამშრომელმა გაიარა სამსახურის სასწავლო ცენტრში დანერგილი ტაქტიკური პროგრამები, სპეციალური მომზადების პროგრამები, საორიენტაციო კურსები, სხვა სავალდებულო თეორიული და პრაქტიკული სწავლებები. სამსახური უზრუნველყოფდა ასევე თანამშრომელთა უცხოური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას.

IX. დასკვნითი ნაწილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოისმინა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სამსახურის 2021 წლის საქმიანობასთან დაკავშირებით. კომიტეტის სხდომაზე დაისვა არაერთი შეკითხვა არსებული გამოწვევების შესახებ და ამ გამოწვევების საპასუხოდ სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე. აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხებისა და ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე კომიტეტი დადებითად აფასებს ანგარიშში ასახულ, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეულ საქმიანობას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი

2-8917/22
17-06-2022

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და
უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი ბერაიას

ასლი: საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო
დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

დასკვნა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის შესახებ (N1-4764/21; 15.04.2022)

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2022 წლის 17 ივნისის სხდომაზე განიხილა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის შესახებ.

აღნიშნული ანგარიში მოიცავს ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ოკუპირებული ტერიტორიები, სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, სპეციალური ოპერაციების ძალები, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ზედამხედველობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია, მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება.

ანგარიშის თანახმად საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის ძირითად საფრთხეს, წინა წლების მსგავსად, კვლავ რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაცია წარმოადგენდა. 2021 წელს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ რჩებოდა უკანონოდ განლაგებული რუსული მძიმე შეიარაღება და სამხედრო კონტინგენტი, მიმდინარეობდა ინტენსიური სამხედრო წვრთნები და

მილიტარიზაციის პროცესი. რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ გრძელდებოდა ოკუპირებული რეგიონების ანექსიისკენ მიმართული პოლიტიკა.

საანგარიშო პერიოდში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის ფონზე, კვლავ მძიმე იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მდგომარეობა და გრძელდებოდა მათი ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვა.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა უკანონო დაკავებები, უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, დეზინფორმაციული კამპანიები და უსაფრთხოების გარემოს დამაზიანებელი სხვა აქტივობები. 2021 წელს საოკუპაციო რეჟიმების მხრიდან არაერთი დეზინფორმაციული განცხადება გავრცელდა, რომელთა დიდი ნაწილი მიზნად ისახავდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე კორონავირუსთან დაკავშირებით არსებული ვითარების მაქსიმალურად კრიტიკულად წარმოჩენას. ცალკეულ შემთხვევებში, ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდებდნენ ვაქცინაციის მიზნით საზღვრის გადაკვეთისგან თავის შეკავებისკენ და ხდებოდა გამოგონილი ბრალდებების გავრცელება რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მხრიდან ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 11, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით - 70 უკანონო დაკავების ფაქტი დაფიქსირდა.

2021 წლის 14 ივლისს, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და საერთაშორისო პარტნიორების ძალისხმევით, უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდა ზაზა გახელაძე, რომელსაც უკანონოდ 12 წელი და 6 თვე ჰქონდა მისჯილი. 2021 წლის განმავლობაში, უკანონო პატიმრობაში საერთო ჯამში საქართველოს 7 მოქალაქე იმყოფებოდა, მათ შორის ირაკლი ბებუა, რომელსაც საოკუპაციო რეჟიმმა 9 წლით აღუკვეთა თავისუფლება. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა მის ხელთ არსებული ფორმალური და არაფორმალური მექანიზმების გამოყენება, განსაკუთრებით საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის კონცენტრირება, უკანონო პატიმრობაში მყოფი პირების უმოკლეს ვადაში გასათავისუფლებლად.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2021 წლის 21 იანვარს გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც განისაზღვრა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ ძალას რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს და იქ

მომხდარ ადამიანის უფლებების სისტემურ დარღვევებზე პასუხისმგებლობა სწორედ მოსკოვს ეკისრება.

2021 წელს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის - 9, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 130 შემთხვევა დაფიქსირდა. უკანონო აქტივობები გამოიხატა როგორც ახალი მავთულხლართების გავლებაში, ისე ძველი მავთულხლართების და ღობეების განახლებაში, ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულებისა და საგუშაგოების და მიწათხრილების მოწყობაში, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების და საგუშაგოების უკანონოდ აღმართვაში.

ანგარიშის თანახმად, 2021 წელს კვლავ ჩაკეტილი იყო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ე.წ. გადასასვლელი პუნქტები, რამაც რეგიონის სრული იზოლაცია გამოიწვია. ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით საოკუპაციო ხაზი 2020 წლის მარტიდან 2021 წლის 5 ივლისამდე, ცალმხრივად, საოკუპაციო ძალების მიერ იყო დაკეტილი. დროის აღნიშნულ მონაკვეთში საოკუპაციო ხაზის გადაკვეთის შესაძლებლობა ე.წ. ნებართვის მქონე, მხოლოდ გარკვეული კატეგორიისა და საჭიროებების მქონე პირებს (ხანდაზმულები, პენსიონერები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და სხვა) ეძლეოდათ. ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით საოკუპაციო ხაზის დაკეტვამ ადგილობრივი მოსახლეობა აიძულა, საოკუპაციო ხაზის ფარულად კვეთის მიზნით, მდინარე ენგურზე შემოვლითი მარშრუტებით ესარგებლა, რასაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ ფიქსირდებოდა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიზანმიმართული დისკრიმინაციის პრობლემა, მათ შორის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა, რეგიონების რუსიფიკაციისა და მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შეცვლის, მათი ასიმილირებისკენ მიმართული პოლიტიკა.

საანგარიშო პერიოდში კვლავ გრძელდებოდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ქონებრივი უფლებების შეზღუდვა და უკან დაბრუნების გამორიცხვის მიზნით, მათი სახლების განადგურება. განსაკუთრებული შეშფოთების საგანს წარმოდგენდა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის სოფელ ერედვში ეთნიკურად ქართველის მოსახლეობის ნასახლარებზე ნაგავსაყრელის ამოქმედება.

საანგარიშო პერიოდში ოკუპაციასთან დაკავშირებული საფრთხეები და გამოწვევები მწვავედ განიხილებოდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა (GID) და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში

გამართული შეხვედრებისას. საანგარიშო პერიოდში, გალის მიმართულებით IPRM-ის აღდგენა კვლავ ვერ მოხერხდა და ამ მიმართულებით შეხვედრები 2018 წლის ივნისის შემდეგ არ ჩატარებულა.

საანგარიშო პერიოდში, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით გაიმართა IPRM-ის 6 და მის ფარგლებში დაგეგმილი 2 ტექნიკური შეხვედრა. ამავე პერიოდში, გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ოთხი: 52-ე, 53-ე, 54-ე და 55-ე რაუნდები. აქტიურად გამოიყენებოდა „ცხელი ხაზის" ინსტრუმენტი, კერძოდ მისი გააქტიურება მოხდა 2197-ჯერ, 1747-ჯერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის, ხოლო 450-ჯერ ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით.

ანგარიშის თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აგრძელებდა ეფექტიან და ნაყოფიერ თანამშრომლობას საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMM), გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან (UN), ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (OSCE), ევროპის საბჭოსთან (CoE) და წითელი ჯვრის საეთაშორისო კომიტეტთან (ICRC).

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელება. ანგარიშის თანახმად, 2021 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ მკვეთრად იქნა გააქტიურებული ძალისხმევა მეზობელი ქვეყნების მიმართ ექსპანსიური პოლიტიკის გასატარებლად. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, საფრთხეების გამოვლენა-პრევენციის მიზნით გატარებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად, სამსახურის მიერ გამოვლენილი იქნა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების დაინტერესების სფეროები და მისწრაფებები. ანგარიშის თანახმად, 2021 წელს უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების საქმიანობის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თითქმის ყველა ასპექტი, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის დეტალები, სამხედრო საკითხები, პოლიტიკური ძალებისა და მათი ლიდერების საქმიანობა, ეკონომიკური პროექტები, საკანონმდებლო რეფორმები, საზოგადოების და ექსპერტული წრეების განწყობები, მიგრაციული პროცესები და სოციალური თემები.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად ახორციელებდა მიგრაციის არხების მონიტორინგს. სამსახურის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხდებოდა საქართველოში შემოსვლის, მოქალაქეობისა და სხვადასხვა სახის ბინადრობის ნებართვის მოპოვების მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესაბამისი შემოწმება. 2021 წელს სამსახურმა საქართველოში სხვადასხვა სტატუსით

ცხოვრების ნებართვის მინიჭების მიზანშეწონილობა განიხილა უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დაახლოებით 30 000 საქმეზე.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა ცალკეული ქვეყნების და მათი სპეციალური სამსახურების მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული „ჰიბრიდული საფრთხეები". აღნიშნული აქტორები, საკუთარი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად განაგრძნობდნენ ე.წ. რბილი ძალის, ფარული ოპერაციების და ე.წ. საინფორმაციო ომის ინსტრუმენტების კოორდინირებულ და, ხშირ შემთხვევაში, ერთობლივ გამოყენებას.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა ტერორიზმის წინაღმდეგ ბრძოლა. 2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად განაგრძობდა კონტრტერორისტულ საქმიანობას, რაც მოიცავდა ტერორიზმთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, ინფორმაციის მოპოვებისა და გაზიარების მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, საფრთხეების შემცირების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარებას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებული მექანიზმების დახვეწას და საფრთხეზე რეაგირების შესაძლებლობების გაძლიერებას. საქართველოს მიერ განხორციელებული კონტრტერორისტული საქმიანობა დადებითად იქნა შეფასებული ტერორიზმის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის ტერორიზმის თავით გათვალისწინებულ ოთხ დანაშაულზე და გრძელდებოდა გამოძიება წინა წლებში დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებზე. 2021 წელს მოხდა საქართველოს 2022-2026 წლების ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიის დამტკიცება და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სპეციალური ოპერაციების ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და მათი მომზადების მაღალი ხარისხის მიღწევის მიზნით რეგულარულად ტარდებოდა შესაბამისი სწავლებები.

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად განაგრძობდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. საანგარიშო პერიოდში ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ გამოძიება დაიწყო 53 სისხლის სამართლის საქმეზე და ბრალდებულის სახით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემული იქნა 162 პირი. ანტიკორუფციული სააგენტოს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების ფარგლებში ყადაღა დაედო 153 უძრავ და 7 მოძრავ ქონებას, რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით 3 200 000 ლარს შეადგენდა. საანგარიშო პერიოდში, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად

ამოღებული იქნა დაახლოებით 1 850 000 ლარის ექვივალენტი სხვადასხვა ფულადი თანხა.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებად რჩებოდა სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი ბაზის განვითარება/სრულყოფა და სასამართლოებთან ურთიერთობა. 2021 წელს სამსახურმა მოამზადა და გამოსცა 180-მდე ახალი სამართლებრივ აქტი და თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკუთარი პოზიცია დააფიქსირა სხვა უწყებების მიერ შემუშავებული 250-ზე მეტი სამართლებრივი აქტის პროექტზე. საანგარიშო პერიოდში სასამართლოებს მიეწოდა საქმეების განხილვისთვის საჭირო 1075 საიდუმლო და არასაიდუმლო ინფორმაცია/მტკიცებულება. 2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმოებაში იყო 30-ზე მეტი სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავის საქმე, საიდანაც დასრულდა 7 საქმე, რომელთაგანაც ყველა შემთხვევაში სასამართლოს მიერ სახელმწიფო უსაფრთხოებს სამსახურის პოზიცია დასაბუთებულად იქნა მიჩნეული.

სანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოები სამსახურის მმართველობაში შემავალი სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო აგრძელებდა ქვეყნის ტერიტორიაზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას. 2021 წელს სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში უფლებამოსილი საგამოძიებო ორგანოების მიერ სულ წარდგენილი იქნა მოსამართლის 2082 განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედებების და პროკურორის 190 დადგენილება გადაუდებელი წესით ფარული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე. 2021 წელს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში, ნდობის ჯგუფის მიერ სააგენტოში განხორციელდა 2 ვიზიტი და 8-ჯერ იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებდა ასევე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირების ფარგლებში, ინსპექტორის მიერ განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების და ჩაწერის ფარული საგამოძიებო მოქმედებების შემოწმება, რომლებიც მიმდინარეობდა 2021 წლის 25 თებერვლიდან 2021 წლის 3 აგვისტოს ჩათვლით. შემოწმების შედეგად სააგენტოს მხრიდან კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა. ამასთანავე, სააგენტოს მიეცა შესასრულებლად სავალდებულო დავალებები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ცალკეული ასპექტების გაუმჯობესების მიზნით.

ანგარიშის თანახმად, 2021 წელს, წინა წლების მსგავსად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად იყენებდა შიდა კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულ პირთა უფლებების დაცვაზე უწყვეტ რეჟიმში

განხორციელებული მონიტორინგი. სანგარიშო პერიოდში შიდა მონიტორინგის შედეგად იზოლატორის თანამშრომლების მხრიდან დაკავებულ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა. ამასთანავე, იზოლატორის თანამშრომლებს სისტემატურად უტარდებოდათ შესაბამისი სწავლებები დაკავებულ პირთა უფლებების დაცვის საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა ვიზიტი. ვიზიტის შედეგად ადამიანის უფლებებთან მიმართებით შენიშვნები ან რეკომენდაციები არ გამოთქმულა.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეებს დაეკისრათ 15 დისციპლინური სახდელი, კერძოდ, სამსახურიდან დათხოვნილი იქნა 1 მოსამსახურე, სასტიკი საყვედური გამოუცხადდა - 1, საყვედური - 7 და შენიშვნა 6 თანამშრომელს. სარეკომენდაციო ხასიათის მითითებები მიეცა 8 მოსამსახურეს. სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ გამოძიება დაწყებული იქნა 6 სისხლის სამართლის საქმეზე.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს. 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სამსახურში შევიდა 72 განცხადება, რომელთაგან დაკმაყოფილდა - 60, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 3, შემდგომი რეაგირებისთვის სხვა საჯარო უწყებაში გადაიგზავნა - 1, ხოლო 8 განცხადება არ იქნა დაკმაყოფილებული. სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული ანგარიში წარედგინა საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და საქართველოს პრეზიდენტს. აღნიშნული ანგარიში ასევე გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმატებულად თანამშრომლობდა საერთაშორისო პარტნიორებთან სამართალდაცვის და უსაფრთხოების სფეროში. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები სამსახურს გაფორმებული აქვს 29 პარტნიორ სახელმწიფოსთან, ხოლო ევროპოლთან დადებულია ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება. საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმება სამსახურს გაფორმებული აქვს 24 სახელმწიფოსთან და ევროკავშირთან.

საანგარიშო პერიოდში სამსახურისთვის კვლავ პრიორიტეტულ საკითხად რჩებოდა სამსახურის ინსტიტუციური განვითარება და თანამშრომელთა კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლება. 2021 წელს სამსახურის მხრიდან სხვადასხვა ფორმით წახალისებული იქნა 570-ზე მეტი მოსამსახურე, სამსახურის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული მომზადება-გადამზადების სხვადასხვა კურსებში. საანგარიშო პერიოდში სამსახურის

სასწავლო ცენტრში ასევე დაინერგა დისტანციური სწავლების მეთოდი, რამაც პანდემიის პირობებშიც შესაძლებელი გახადა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა.

განიხილა რა წარმოდგენილი ანგარიში, კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა მსოფლიოში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე და ხაზი გაუსვა სამსახურის ანალიტიკური შესაძლებლობების უწყვეტი განვითარების მნიშვნელობას შესაბამისი რისკების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებისა და პრევენციისთვის.

კომიტეტი ასევე გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის მიერ 2021-2022 წლებში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც შეეხებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციურ რეფორმას და ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს ცვლილებას. კომიტეტმა აღნიშნა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, გამოირჩევა ადამიანის უფლებებში ჩარევის მაღალი ინტენსიობით, რა დროსაც ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ყოველ კონკრეტულ ჯერზე უფლების შეზღუდვის თანაზომიერების უზრუნველსაყოფად, გამართულ საკანონმდებლო ჩარჩოსთან ერთად, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია კონტროლის ეფექტიანი მექანიზმის არსებობა. ამ მხრივ, კომიტეტმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორის მხრიდან ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემოწმების შედეგად კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

კომიტეტის მხრიდან ასევე პოზიტიურად შეფასდა ის გარემოება, რომ სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორში საქართთველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა ვიზიტის შედეგად არ გამოვლენილა დაკავებულ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომიტეტმა დადებითად შეაფასა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობა.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
მიხეილ სარჯველაძე